ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება:№37. 37231442
თარიღი:24/05/2023

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ანნა მიქატაძის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მე-3 რანგის მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის (საორგანიზაციო მომსახურების საკითხებში) თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 35-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის, 34-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 43-ე მუხლის თანახმად და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკონკურსო კომისიის (შიდა კონკურსის) 2023 წლის 16 მაისის N3 საოქმო გადაწყვეტილების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დაინიშნოს ანნა მიქატაძე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მე-3 რანგის მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის (საორგანიზაციო მომსახურების საკითხებში) თანამდებობაზე 2023 წლის 23 მაისიდან და მისი თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს თვეში 1210 (ათასორასათი) ლარით.

2. დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

4. ბრძანება ძალაშია მხარეთა გაცნობისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი